საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "20" 09 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1254/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 6 სექტემბერს N 73875/03 განაცხადით „სამსუნგ ელექტრონიკზ კო. ლტდ."-ს წარმომადგენელმა გიორგი თაქთაქიშვილმა (მის: 416, მაეტან-დონგი, იეონგტონგ-გუ, სუვონ-სი, გიეონგი-დო) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „SAMSUNG" (რეგ. N 24063) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „SAMSUNG" (რეგ. N 24063) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 20.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 20.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „SAMSUNG" (რეგ. N 24063) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 368), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.09.2013.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; „სამსუნგ ელექტრონიკზ კო. ლტდ."-ს წარმომადგენელს გიორგი თაქთაქიშვილს (მისამართი: ლუბლიანას ქ.11, მე-2 სადარბაზო, ბ. 38, 0159, თბილისი)

ასლი დედანთან სწორია
"20" 09 2013წ.
ფლორიდა